

ნედლი მასალიდან გატანილი იქნა საზღვარ-გარეთ ტყავივით, ჯაგარი, აბრეშუმი, ფრიზონი, ბეწველი, საერთო ღირებულებით — 955.133 გირ. სტერლინგი და 38.056 ოსმალური ლირა.

საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონელი იყოფა ორ კატეგორიად: ა) საქონელი, რომელიც შემოვიდა ამიერ-კავკასიის ბაზარზე რელიზაციისათვის და ბ) საქონელი, რომელიც დაკვეთილი იყო სხვადასხვა დაწესებულებების მიერ.

პირველი კატეგორიის საქონელში შედიან: ავტომობილები, ტრაქტორები, გუთნები, აბრეშუმი და სხვა, ღირებული 8.264 გირ. სტერლინგი 104,200 ფრანკი.

სხვადასხვა დაწესებულებებისათვის, თანახმად მათი დაკვეთის, შემოტანილი იქნა საზღვარ-გარეთიდან: ქვაბები, მავთული, ფეხსაცმელი, შაქარი, ავტომობილები, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები, მანქანების ნაწილი და სხვა, სულ 95.654 სტ. და 577.411 ოსმალური ლირა.

ნავთის ექსპორტი.
2 ივლისს „არკოსმა“ გემით „სკალიარია“ გაგზავნა საზღვარ-გარეთ 50.600 ფუთი ნავთი.

— **მეტრიული სისტემის საზომების დამზადება.** მეტრიული სისტემის შემოსაღებად სწარმოებს გამუდმებული მუშაობა. სალითონო განყოფილების ქარხნები შეუდგენენ ხის და რკინის მეტრებისა და ნახევრად მეტრების და აგრეთვე თუჯის, ბრინჯაოს და სპილენძის საწონ გირების დამზადებას, რომელნიც თავის ღირებულებით ოდნავაც არ ჩამოუვარდება საზღვარ-გარეთის ქარხანაში დამზადებულ საწონებს. მთავარი სამეტრო განყოფილება

ახლო მომავალში გამოუშვებს კედლის სხვა და სხვა გვარ საჩვენებელ ცხრილებს, რომელთა გამოშვების შემდეგ, გამოიცემა განსაზღვრული ბროშურები და დიფუზება ზეპირი საპროპაგანდო კამპანია. ამ მიზნით მთავარი სამეტრო განყოფილების დახმარებით ამკ. ცალკ. არმიასთან მთელი რიგი ლექციებისა მეტრიული სისტემის წითელ არმიასა საპროპაგანდო და აგრეთვე სამხედრო სამეტრო ორგანიზაციის მეტრიულ სისტემაზე გადასასვლელად. დამყარებულია კონტაქტი აკავასიის რკინისგზებთან, რომელიც მეტრიულ სისტემაზე გადასვლის დროს ხელმძღვანელობს გაუწყვეს მთავარი სამეტრო განყოფილება და დაამზადებს მათთვის მეტრიულ საზომებს და საწონებს. გადამგებული ნაბიჯი განათლების სახალხო კომისარიატთან კონტაქტის დასამყარებლად მეტროლოგიის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების დაარსების შესახებ, დაწყებულია სითხეების მეტრიული საზომების კეთება ლვინის, არაყის, ნავთის და რძის ვაჭრობის საქართველოსათვის სწარმოებს სავაჭრო-სამეცნიერო წარმოებათათვის მეტრიული ზომების თანდათანობით მიწოდებას.

— **ნოტანე-ოზურგეთის რკინის გზა.** მუშაობა საოპერაციო წესით სწარმოებს. რვა ვერსის მანძილზე უკვე დაწყებულია რესურსები და მერიის ხელშეწყობით დაიწყო მოქმედება.

მიწის სამუშაო ნატანების სადგურამდე დასრულებულია.

დამთავრდა 4 დიდი ხიდი. ქვეთარის სამუშაო 400 კუბს უდრის. მთავრობა გაწესებულად ვერ გავწდის ფულს.

სხვა და სხვა

ვენა. 2 ივლისი. გაზეთები „პოლიტიკა“ და „ტრიბუნა“, რომლებიც ახლო დეიან სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებთან, სწერენ, რომ ახლო ხანში დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და სამხრეთ სლავიის შორის აღდგენილი იქნება.

ნიუ-იორკი. 2 ივლისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, აღმზარდი სტარკი, რომელიც მანლიაში იმყოფება, ცდილობს გაყიდოს რუსეთის გემები საბჭოთა მთავრობის იურისკონსულტმა მიიღო ზომები, გემების გაყიდვისათვის ხელის შესაშლელად.

მოსკოვი. 2 ივლისი. პროფესორი პავლოვი, რომელიც მოგზაურობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადარცულ იქნა ბანდიტების მიერ, რომელთაც წართვეს მას 2000 დოლარი — მთელი მისი ქონება. პავლოვმა განაცხადა სურვილი რუსეთში დაბრუნების შესახებ, ამერიკელი მეცნიერნი ურჩევენ პავლოვს დარჩეს შეერთებულ შტატებში და პირდაპირ დაეხმარებინ ანაზღაურებას.

გერმანია
ბერლინი 2 ივლისი. გაზეთმა „ბერლინერ ტაგებლატ“-მა გამოაქვეყნა შეიცარიის რუსეთთან ეპქრობის ციფრები და სასტიკად გაილაშქრა შევი-

ცარიის საკავშირო საბჭოს წინააღმდეგ, რომლისთვისაც, გაზეთის აზრით, სულ ერთია როგორ ზარალს მოუტანს შეიცარიის იუმებს საბჭოთა რუსეთის ბოიკოტი.

ინგლისი.
ლონდონი. 2 ივლისი. ინგლისის სარკინისგზო კომპანიებმა განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ შეამცირონ სამუშაო ხელფასი ყველა კატეგორიის მუშებისათვის. ამავე დროს შემცირება განსაკუთრებით შეეხება შემნაწილებს და ცეცხლის შემკეთებლებს.

რკინის გზელების ნაციონალური კავშირის კონფერენციამ, ტომასმა განაცხადა, რომ დღის წესრიგში სდგას საკითხი რკინისგზების შტატების შემცირების შესახებ.

რკინისგზების სახელმწიფოების მუშაობა კავშირის ხელმძღვანელები, მოითხოვენ დათანხმებას სამუშაო ხელფასის შემცირებაზე, მაგრამ კენჭისყრამ საწინააღმდეგო შედეგები მოიტანა. ტომასმა მწუხარება გამოთქვა, რომ იწყება მოლაპარაკება (გაძირკვებულია): „ჩვენ გვაქვს, განაცხადა ტომასმა, საუკეთესო აპარატი მოლაპარაკების საწარმოებლად, გაფიცვით დამუკრება უფრო გააუარესებს მდგომარეობას.

„პრეკალეზი“

საყვირი... კიდაობა, შესწყდა შრომის და მაჯის... ფალანგები გასცილდნენ? ხმა, ღამის დარაჯის ზავი შრომას და მკლავებს კიდი კიდე ყველაგანა, შაბაშ... მოსვენება და მშფოთავო ქვეყანა!..

განგება! მადლობა შენ! მოვრჩით დავიდარაბას! ქალაქი დამაშვრალი რაზავს თავის დარაბას? მზის სხივებს ჩაეძინა წამოვიდა უკუნი ბნელი და ცვალებადი ვით ჩენი საუკუნე.

მიძინებულ ქუჩებზე გადარეულ ველებით შქრიან რკინის რაშები ამაყი აღუვლებით... მდიდრები გამობრძანდნენ! „გძინავე? ჩვენო მონებო... გზა, ჩენს ნებას, ჩენს სურვილს, უფლებავ კანონებო...“

ელვარე ელექტრონი, სცენა, შამპანიური... თვაზი მოსვენება, სასიკეთა დღეობით და ესტრადიდან ყველას ტკბილი, ტკბილი სალამი, უღრმესი სიყვარული ვით ვერ ასწერს კალამი!..

და!.. იგი მღერის რომანსს! „წმიდაო ღმრთის მშობელო! დედაო საყვარელო, სიმბოლოე უცოდველო! შენ, ვინც ცრემლით დანამე! გზა დედისა და ქალის, ვისიც გრძნობა წმინდა, როგორც მკერდი ფიქალის!

არ მახსოვს მე არც მამა და არც დედას ალერსი! მე შხამით გავიზარდე, ნაღველით ვარ ნალესი! ჩემთან კატებს ეძინათ და მშვიდ ოხერ ძაღლებს! ზევით კი... გუმბათები ცაღ მიეჭდოთ თეთრი სახლებს!

და ჩემს ბედს დასცინოდნენ, აფუროხებდნენ ჩემს სახელს... ურის მკერდზე მონაგლეჯს, მის გრძნობის გამოხატვებს.

მე ხელში შევჭერილი ქვაფენილზე გამვლელებს, და ლუქმა პურს ვართმევდი ქუჩაღებს და კაცის მკვლელებს.

ემდგა!.. გზა გადამიტყდა!.. გასტყდა უღელტეხილი!.. ანჯა!.. მიქო ე კაბა!.. მკერდი გადამიღილი...

ლინო და ყველა მდიდრებს, გრძნობა ნამუს ახლილი, რომ ყოველ დღე გავთელო! საკუთარი მანდილი!

და თუ ამ ბრილიანტებს, უწერიათ ის ბედი, რომ ოქროთი დასრისონ ეს გული და ეს მკერდი; ამ ტურებს ამოსწოვონ ფაქიზი ქალწულობა და ფიქრებს დააჩინონ სასიკვდილო წყლულობა.

გვედრი: გული, ეს გული, ამოავსო ბაღამით! სული აავრივალო, საუკუნო შუალამით ძვლებში ცეცხლი ჩაანთო, ხორცი კეთროვანება, რომ საწამლავით იქცეს ეს ნორჩი ხნოვანება!

და რომანსი გათავდა... ვაშა, ვაშა მის სახელს! კოცა პავროვანი იმის ტურებს, იმის ხელს. ფარდა, უკანასკნელათ გაეღვივარდა რა ყურე, დარბაზში მოიღრიაკა წელზე მოსამსახურე...

მარტოობა... ოთახი... ოქრო... და ხარბი თვალი... ჩურჩული გაწეული!.. გრძნობის ნელი ფართალი!.. ბროლის ბეჭებს დაესო კიბილი აღმასული, რომ მამაკაცის ძალამ სძლიოს ქალის სხელო!

განთიადი... საყვირი უყვირს შავ ფალანგებს. „გაიღვიძეთ, ბიჭებო, გადმოეცლეთ გალაგნებს! წუხელი გამარჯვება დარჩა ოქროს ფარგებს და ვაი! აწ ჩენს ძვლებზე კვლავ მტერი ითარეებს.“

ბ. კოლხიდელო.

ვეფხის ტყაოსანი პართულ სხანაჲ

ამ დღეებში მოჰდა ხელოვნების სასახლეში პართული თეატრის მსევერთა კრება რომლის საგანიც იყო თუ. მომავალ სეზონში როგორი უნდა იყოს პართული პიესების რეპერტუარი. როგორც კრების სხდომის დაბეჭდილი ანგარიში ცხად ჰყოფდა, ვეფხის ტყაოსნის სასცენოდ გადაკეთება, ან განსცენიერება, უმთავრეს მიზნად დაუსახავს ასე, რომ კომისიაც კი შეუდგენია, რომლისთვისაც დაუვალეობა დრამად გარდაქმნა ნესტანის და ტარიელის მიჯნურობისა. დრამას ეზნარობ დრამატულ ნაწარმოების ფორმის აზრით, თორემ ამ ორი მსოფლიო გმირის სულის კეთების შესწავლა და მერმე დრამატულიად გამოთქმა თვით შოთა რუსთაველის ლექსებით, რის ლაღატიც უდიდესი დანაშაული იქნება, არც ისეთი ადვილია, რომ კომისიამ ამ ზავსუღმწივე შეისწავლოს და მერმე მუშაობას შე-

ქ. ტფილისის მისახლეობა

(გაგრძელება)

ახლა გადავიდეთ წლოვანებზე და სქესზე, ზემოთ ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისში 1900 მამაკაცზე მოდის 2089 დედაკაცი.

0-4 წლოვანებში მამაკაცები სჭარბობენ დედაკაცებს, 4-40 წლამდე უკვე დედაკაციები სჭარბობენ მამაკაცებს, ხოლო 40-49 წლამდე ისევ მამაკაციები დედაკაცებს, შემდეგ სურათი საგრძნობლად იცვლება: დედაკაციები ძლიერ სჭარბობენ რიცხვით მამაკაცებს.

რა არის ამის მიზეზი? სად რა პირობებში სჭარბობენ დედაკაციები მამაკაცებს? ამ კითხვებზე პასუხს ისევ ცხრილის დაკვირვება და სხვა ქვეყნის მაგალითები მოგვცემს.

ვინ არ იცის ის მძიმე პირობები, რომლებშიაც ოჯახის მრჩენელ მამაკაცს უხდება მუშაობა. თანამედროვე წყობილებაში, სადაც შრომის პირობები ვერაა გაუმჯობესებული და დედაკაცებს დაკისრებული აქვთ უფრო ნაკლები და მსუბუქი მუშაობა, არც ვერა გასაკვირვებელია, რომ მამაკაციები უფრო მეტი იხიციებიან, ვიდრე დედაკაციები.

უნდა ითქვას, რომ მჯდომიარე ცხოვრება ვაჭრობისა და გონებრივი მუშაობა ინტელიგენტ-მამაკაცებისა, თავის მხრივ ისევ ხელს უწყობენ მამაკაცების ნაკლებობას დედაკაცებთან შედარებით. ავსტრიაში 1900 მამაკაცზე მოდის 825 დე-

დაკაცი, აზიაში 958. აფრიკაში 968, დიდ-ბრიტანიაში 1067, ნორვეგიაში 1089, შვეიცარიაში 1090, თბილისში 1089.

ამ ცნობებიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოდეს: კულტურულ ქვეყნებში დედაკაციები სჭარბობენ მამაკაცებს, ხოლო რამდენადაც ჩამორჩენილია ქვეყანა კულტურის მხრივ, მით უფრო თანდათანობით სურათი მამაკაცების სასარგებლოდ იცვლება.

ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს მამრობითი სქესის ბავშვების სიკვდილს სხვა და სხვა ქვეყნებში მათ ეკონომიურ მდგომარეობას და ამასთან დაკავშირებულ ემიგრაციას და იმიგრაციას.

საზოგადოდ შემწეულია, რომ იმ ქვეყნებში საიდანაც ემიგრაცია მისწრაფვის, მამაკაციები სჭარბობენ დედაკაციებს, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც იმიგრაცია ხდება, დედაკაციები სჭარბობენ მამაკაციებს.

დასკვნა ცხადია, თბილისის მცხოვრებთა სქესობრივ ჯგუფების განხილვის დროს იმიგრაციის გავლენაც უნდა იქმნეს მხედველობაში მიღებული. ამ საკითხს ჩვენ შემდეგ წერილში კიდევ დავუბრუნდებით.

გადავავლოთ თვალი ეხლა ქალ. ტფილისის მცხოვრებთ, მათი დაბადების ადგილის მიხედვით.

წლოვანება.	საერთო მცხოვრებთა რაოდენობა.	ამათში დაბადებულნი.			
		საქართველოში.	პროც.	საქართველოში.	პროც.
0—4	20.312.	18.352.	11.2	1.960.	2,8
5—9	19.787.	18.130.	9.8	3.657.	5,3
10—14	25.777.	19.625.	12.0	6.152.	8,9
15—19	24.718.	18.668.	11,4	6.050.	8,8
20—24	24.250.	17.294.	10,5	6.956.	10,1
25—29	24.064.	15.752.	9,6	8.312.	11,8
30—34	19.711.	15.522.	7,6	7.189.	10,6
35—39	17.863.	11.134.	6,8	6.729.	9,7
40—44	13.747.	8.498.	5,2	5.254.	7,6
45—49	10.481.	6.271.	3,8	4.210.	6,1
50—54	10.142.	5.994.	3,6	4.148.	6,0
55—59	6.638.	4.044.	2,5	2.594.	3,8
60—64	6.577.	4.109.	2,5	2.468.	3,6
65—69	3.262.	1.941.	1,2	1.321.	1,9
70—74	2.526.	1.569.	1,0	957.	1,4
75—79	1.157.	756.	0,5	401.	0,6
80—84	957.	629.	0,4	328.	0,5
75—89	205.	113.	0,1	92.	0,13
90—94	190.	128.	0,11	62.	0,1
95—99	67.	45.	0,2	22.	0,03
100 და მეტი გამოურ.	74.	52.	0,3	22.	0,03
	269.	164.	0,14	105.	0,21
სულ	232.774.	163.785.	100	68.989.	100
	100 პროც.	70,4 პროც.	—	29,6 პროც.	

მანეთს შეჰფიცვენ ერთგულებას და მოხვედნიან, რითაც დასრულდება პირველი სურათი.

პირველი მოქმედების მეორე სურათად არის სამეფო დარბაზი საზეიმოდ მორთული ინდოთა ჩვეულებისამებრ ფარსადან მეფე და ხორეშან დედოფალი შემოვლენ ნესტანით კარისკაცთა და ქალთა ამაღა ხლებული, რომელთა შორისაც არიან მუსყრები და მუღიზები ზეიმი ნესტანის სამეფოდ დასახელებისა და ხატეითის დაპყრობის გამო. ხორეშანის ნესტანის ქებას, ქებას დასასრულ ფარსადან მიმართავს დედოფალს, რა აცნობებს ტარიელის გამარჯვებით დაბრუნებას და დარბაზობის დღეს ნესტანის სამეფოდ დასახელების გამო. გაიმართება ცეკვა ინდოელ ქალავათა, რომელნიც ცეკვის დასასრულ მეფე დედოფალს თაყვან სცემენ შემდეგ ხორეშანის პიროვნის ქებას, რომლის დასასრულ შემოდის ხატეილებზე გამარჯვებული ტარიელი. როგორც დაკვიდოს ხელი ყელზე აქვს ჩამოხმული. შემოჰყავს რამაშ მეფე შეპყრობილი. ინდოეთის მეფე შეწყალებულს გაუშვებს გვირგვინსან ტყვეს, რომელსაც გააფუთხილებს, აღარ გნახო გაწმენილყოლი. რამე მეფე სიტყვას მისცემს, აღარ შეგვიტოვადო და გაიყვანენ თუ არა, განახლებდა ისევ ცეკვა, რითაც დასრულდება პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედებაში ნესტანის ციხე დარბაზია, რომელიც ცალ მხრივ ბაღასა და ზღვას გაჰყურებს. ფარსადან მეფეს სათაბოროდ დაუბარებია ტარიელი, რომელიც შემოდის გაკვირვებული. პატარახანს უკან შემოდიან მეფე დედოფალიც ამაღა თანახლებული, რომელთა შორის არიან აგრეთვე მუსყრები და მუღიზები. ფარსადან განუცხადებს ტარიელს ხვარაზმის ზედ სიძელ მოყვანის განზრახვას, რისიც მოწმადინა აგრეთვე დედოფალი. ტარიელ მოუწონებს სასიძოს, თუმცა გული უტოკავს და უფლავს. ყველანი გაველენ ტარიელის გარდა მარამ იმ დროს როცა ტარიელიც დააპირებს წასვლას ნესტანს შემოიკრება და რისხვით რა შეაყენებს, უწოდებს მოლაღატეს. ტარიელმა რომ დაუმტკიცოს ერთგულება, აიღებს მუსაფს (ყურანს), რომელიც კუთხეში სასთუნაღზე გაშლით მდებარე, და დაიფიცავს ნესტანს დარწმუნდება მის ერთგულობას, ლმობიერად დაუტყდება და რა დაჯდება, ახლოს მოისვას ტარიელს. მერმე განუცხადებს, თუ სპარსეთის ხვარაზმში მომგვარებს ქმრად, მაშინ სპარსელები გაგვებატონდებიან და შეუძლებელია რომ ეგ მოხდესო. ტარიელ რაკი სიტყვას მისცემს, მე გაუქმლავდები სპარსელებს, თუ ინდოეთს შემოვიდნო, ნესტან დაავალეს, რა მოვიდეს სიძე, მოჰკალი მიპარულათაო.

ამნაირად, როგორცა სჩანს, საქართველოს გა-
რეთ დაბადებული შეადგენენ 29.6 პროც.
რას გვეუბნება ეს პროც.? რასაკვირველია,
იმას, რასაც წინა წერილში თეორეტიკულად ვამტ-
კიცებდით, ე. ი. წლოვანებათა არა ნორმალური
დამოკიდებულება თბილისში იმიგრაციითაა გამოწ-
ვეული.
ამავე წერილში ჩვენ თეორეტიკულად ვამტკი-
ვებდით, საზოგადოთ, რომ იქ, სადაც იმიგრაციას
აქვს ადგილი, მომუშავე ელემენტთა პროც. გაცი-
ლებით დიდია, ვიდრე ბავშვების, და ამას გარდა
ბუნებრივი ზრდა მცხოვრებთა ძლიერ დაბალია.
შევხედოთ ახლა პრაქტიკულად, ნამდვილად
ვრცელდება თუ არა ეს თეორია თბილისზეც. და
თუ დავინახეთ, რომ ვრცელდება, გვძებოთ მიზეზი.
ამისათვის საჭიროა შემდეგ ცნობებში ჩავეი-
რებოთ:

და ბ ა დ ე ბ უ ლ ნ ი				
წლოვანება	საქართვე- ლოში	პროც.	საქართვე- ლოს გარეთ	პროც.
0—19	72.775	44.4	17.819	25.8
20—59	81.504	49.8	45.392	65.8
60 და მეტ	9.342	5.7	5.673	8.2
გამოურკვე- ვლი	164	0.1	105	0.2
სულ	163.785	100	68.989	100

რას ვხედავთ ჩვენ აქ? საქართველოს გარეთ
დაბადებულებში პირველი ადგილი უჭირავს ჯგუფს
20—59 წლ., რომელთა პროც. უდრის 65.8-ს, ბავ-
შეების 0—19 წ. 25.8 პროც-ს.

საქართველოში დაბადებულთა შორის კი ასე-
თი კონტრასტული განსხვავება როდი არსებობს;
ბავშვები 0—19 წლ. შეადგენენ 44.4 პროც., ხოლო
მომუშავე ელემენტები 20—59 წლ. 49.8 პროც.

ასე რომ, თუ ავიღებთ თბილისის მცხოვრებ-
თა იმ ნაწილს, რომელნიც საქართველოში არიან
დაბადებულნი, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ,
რომ აქ მცხოვრებთა ბუნებრივი ზრდა ნორმალუ-
რია, ხოლო როდესაც მათ მიუმატებთ საქართვე-
ლოს გარეთ დაბადებულთ, ჩვენა ვხედავთ, რომ
ასეთივე დასკვნის გამოტანა ყოვლად მიუღებელია.
რატომ? იმიტომ რომ წლოვანებათა გადათვა-
ლიერების დროს, ჩვენ ვხედავთ შემდეგ სურათს:

0—19 წლიანებს, საქართველოში დაბადე-
ბულთ, ემატებათ საქართველოს გარეთ დაბადე-
ბულთა ამავე წლების საერთო რაოდენობის 19, 7
პროც., ხოლო 20—59 წლიანებს 35 პროც. რაც
ძალიერ სწევს მაღლა მომუშავე ელემენტთა პროც.
და დაბლა სცემს მცხოვრებთა ბუნებრივ ზრდას.

ამნაირად თეორეტიკული დასკვნები წლოვა-
ნებათა დამოკიდებულების სხვა და სხვაობის შესახებ
ტფილისის ფაქტურ მცხოვრებთა შემადგენლობაზეც
ვრცელდება.

ესლა ჩვენ დავგრა გამოვავლიოთ, მართლა
საჭიროა თუ არა სქესობრივ განხილვის დროს ის
დებულება, რომელიც ჩვენ პირველ წერილში მო-

იმ დროს ფარსადან მეფე შემოდის სამიოდ
დიდებულის ხლებითა. ნესტან და ტარიელ შეპკრ-
თებიან. რაკი ხვარაზშმა სიძე მოსულა ურიცხვი
ჯარით, მეფე დაავალეს ტარიელს განკარგულებას
მის დასახვედრად, ბრძანებს მის დარჩენას სასახ-
ლეში, ხოლო სხვების გასვლას. მერმე ქალსაც ეტყვის
თქვინა ქორწილი დიდებულად უნდა გადავიხადოთ
და გავა ამალითა. ნესტან ოხვრით და ბრახ მორე-
ული აყვდრის ტარიელს, რას უდგებარ ნუ თუ კი-
დეგ მალაქობა? ტარიელ დაქადებული გადის.
დარბაზის ერთ გვერდის კართი შემოდის, ჩოჩოლა.
შემოდის ფარსადან მეფე გულისწყრომით და ბრძა-
ნებს, ეხლავ ტარიელ მომგვარეთ. კარის კაცნი
მოახსენებენ, აქ აღარ არის, სადაც წასულაო.
ფარსადან მიმართავს ნესტანს, თუ ტარიელ გი-
ყვარდა, გულხდით რად არ მითხარ, სიხარული
სიმძიმეოდ რად შემეცვლო? ნესტან მოახსენებს
მამას, ტარიელ ნებას არ მისცემს სპარსელებს. რომ
დაეწყოს ქება ინდოეთის, რომელიც მისი სამკვიდრო
მამულაოა. მაშინ მეფე მოკვლით დაემუქრება თავის
დას დავარსა ნესტანის ცუდი აღზრდისთვის და
გავა. სხვებიც გაჰყვებიან გარდა ერთი კარისკაცისა
რომელიც გვერდის კართი შემოსულ დავარ დედო-
ფალს მოახსენებს მისი ძმის ფარსადანის საშინელ
განზრახვას. დავარ თავის დაზავალს ვერა გრძნობს
და მოთქმით მიმართავს ნესტანს ვერ შეხედები
იმას, ვისაც ქორწილი მოაშლევინეო და ხელს მიპ-
ყვას, გრძელ თმებს დაუფუშავს და სცემს. ორნი
პირზენი ქაჯნი ნავით მოდებიან. მოიღებენ კილო-
ბანს შიგ ჩასმენ ნესტანს და ზღვას გაუდგებიან,
რომ გადაჰკარგონ სადმე, ხოლო თვით მამიდა
დავარ დანას დაიკემს გულში და მოჰყვდება.

მესამე მოქმედება წარმოადგენს ფატმანის
წყვეტლებას ქალაქს გულანშაროს, მეფის მელიქ
სურხავის საბრძანებლო მულანშარის ფატმანის
ციხე დარბაზი მშენიერად მორთული სხვა და სხვა
ადგილს სხვა და სხვა სამაჟულ იარაღით მოწყობი-
ლი. ცალი მხარე დარბაზისა გახსნილია ზღვისკენ
აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ. ბაღს ამშენებენ
ყვავილ ნარი და ზადრენები. ფატმანს უნახავს თუ
არა ეპარულად მორთული ავთანდილ მაშინვე ძლე-
ულა სურვილისაგან. ასეთ ყოფაში რომ არის მარ-
ტო, შემოდის მოახლე, რომელიც მოართმევს წიგნს
ყმა ვაჟარის, ე. ი. ავთანდილის გამოგზავნილისა,
გულწასულ დამკრთალი ფატმან ჩამოართმევს წიგნს
რომელსაც საბედისწეროდ მიიჩნევს ასე, რომ ან
ცოცხალი უნდა დარჩეს ან მწარე სიკვდილი ჰხდეს.
ავთანდილს შემოუთვლია, შენცა გინდა, მეცა მინდა
განუწყვეტლად შენი ხლება, შეყრა არის პირიანი,

ვიყვანეთ, ე. ი. სქესთა სხვა და სხვაობის გადაწყვე-
ტის დროს საჭიროა თუ არა მივიღოთ მხედველო-
ბაში აგრეთვე იმიგრაცია, ვნახოთ რამდენათ მი-
საღებია ეს დებულება ტფილისში.
მოგვყავს აქ მხოლოდ მოკლე ცნობები:
საქართველოს გარეთ დაბადებულნი სქესის
მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან.

წლოვანება	საქართვე- ლოში	პროც.	საქართვე- ლოს გარეთ	პროც.
0—19	8.915	50.1	8.904	51.8
20—59	32.647	52.1	21.745	51.8
60 და მეტი	3.061	54.0	2.612	51.8
გამოურკვე- ვლი	71	67.6	34	51.8
სულ	36.694	48.2	33.295	48.2

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ იმიგრაციას სქე-
სობრივ დამოკიდებულებ. გარკვევის დროსაც დიდი
მოვლენა ჰქონებია ტფილისში. საერთოდ საქარ-
თელოს გარეთ დაბადებულებიდან 51,8 პროც. შე-
ადგენენ დედაცაყები, ხოლო მამაცაყები 48, 2
პროც.

მაგრამ საინტერესოა, რომელ წლიანებს ჰქო-
ნებია უფრო დიდი გავლენა დედაცაყთა ქარბო-
ბაზე. ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ უპირველესად
ყოვლისა დიდი გავლენა მოუხდენია დედაცაყებს
საქ. გარეთ დაბადებულებიდან 20—59 წ. და ზევით,
პირველში 52, 1 პროც. უდრის, ხოლო უკანასკ-
ნელ შემთხვევაში 54,0 პროც.-ს მაგრამ ეს 54, 0
პროც. დიდ გავლენას ვერ იქონიებდა საერთოდ
მამაცაყებზე, ვინაიდან ამ ჯგუფში ხდება მხოლოდ
5.673 მცხოვრებნი. დიდს გავლენას ახდენს 20—59
წლ. ვინაიდან ამ ჯგუფის მცხოვრებნი უდრის
45,392.

არავითარ გავლენას თითქმის არ ახდენს
0—19 წლ. ვინაიდან, როგორც ცხრილიდან სჩანს,
მამაცაყს შეადგენენ 49,9 პროც., ხოლო დედაცა-
ყები 50,1 პროც.

ორთავა რათან ნებაო. მაშვეი ფატმან ზუბანებს
ბაღში შადრენების პირს სუფრის გაშლას და
მუტრიფთა მოყვანას, რომ იცეკონ და ყმა ვაჟრის
ქება ტკბილად იმღერონ. მოახლე გადის, ხოლო
ფატმან თავს ილამაზებს ავთანდილის მოსვლამდე.
ავთანდილ შემოდის. ხელში უჭირავს ლახტი, რო-
მელსაც დასდებს. ფატმანის ნახვის სურვილ აშლა
მისთვის, რომ გულანშაროს ქალაქში იყო მრავალი
ხალხი, რომელსაც ფატმანი ჰნახულობდა და შესაძ-
ლებელი იყო ნესტანის რამ ამბავი სცოდნოდა.
ფატმან ავთანდილს განუცხადებს სიყვარულს, რა
შეადარებს ვარსა და მზეს, მერმე დასძენს, გული
ვი გასძლეს შე წამწამთა სიბნელს და თუ რასმე
მივსჯი, მიშველე, თორემ ჭკნობას დავკარგო.
მოხვედვიან ერთმანეთს. ფატმან ხელს მოჰკიდებს,
ჩაელენ ბაღში და სუფრას მოუხსნებიან. შეიქმნება
ქაჯების და ფერიების ცეკვა. ხორო ცეკვის დასა-
სრულ მოჰყვება სიმღერას, რომლისაც უმთავრესი
საგანი ქალის ქება. მერმე ფატმან ხელს მოჰკი-
დებს ავთანდილს, ტახტზე დასვამს და წამოუწყება.
მათი ტრფილების დროს ფატმანის დარბაზის ჩა-
ნაგირი კარს შემოდებს და ჩადგება. ხორო მორი-
დებული უკან დაიწევს. ჩანაგირი დაემუქრება, გა-
ვითენდება, განანებ მაგ მოყმის ყოლასაო და კარს
გაიყურავს, ფატმან მიჰყვება ტარილს და ვაებას.
ავთანდილ ჰქითხავს, რა არის შენს თავს, სთქვი,
რათა ხარ გვრე გამწარებულიო. ფატმან მიუგებს
ჩანაგირი ჩემს ქმარს დავგებულებ და შენი სიკე-
დილი რომ არ ენახო, წადი და მოჰკალიო. ავთან-
დილ ანუგეშებს, თუმცა თინათინის მოგონება
აძრწოლებს იდუმალს ძრწოლით, მერმე დაქადე-
ბული აიღებს ლახტს და გავა. ფატმან უბრძანებს
მუტრიფთა თავს წაიღოჯეთ და დამართეთ მოთქმა
გოდების მწერე ხმაო. ყველანი თავსახურავენს მო-
ხდიან და თმებს გაიშლიან და დაიწყებენ გოდე-
ბას, მერმე მუხლმოყრილი სთხოვენ ღმერთს შეე-
ლასა. იმდროს ავთანდილიც შემოვა და ახარებს
თუ არა ჩანაგირის მოკვლას გადასცემს ნიშნად
მოკვლისა მის თითს ბეჭდითა, რომელიც ფატმანის
ნაწეპარი იყო, და სისხლიან დანას. გულმოცემული
ფატმან ჯამბობს ნესტანის პოვნის ამბავს, მაგრამ
ავთანდილ სთხოვს მოხუცების განახლებას და ამბის
გადაღებას სხვა დროსთვის. ცეკვა განახლებდა.
ავთანდილ და ფატმან ერთმანეთს გადახევიან.

მეოთხე მოქმედების პირველი სურათი წარ-
მოადგენს სამხედრო თათბირს, რომელიც გაუმარ-
თინათ ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ასაღე-
ბად ქაჯეთის ციხისა, სადაც ქაჯებს ტყვედა ჰყა-

საბოლოოდ დასკვნა ასეთია: იმიგრაცია
დიდს გავლენას ახდენს წლოვანებათა სხვადასხვაო-
ბაზე, ე. ი. მომუშავე ელემენტთა პროც. დიდია,
იგი სქესზედ ახდენს დიდ გავლენას, ვინაიდან მო-

წყვეტილი ნილაზი

ყველაფერს სჯობია, როდესაც ადამიანი სარ-
კემო ჩახედვის თავის „მე“-ს საფეხებით განსჯერეს!
ბევრჯელ ჩვენს საზოგადოებას არ შეუძლია
ამა თუ იმ საკითხის ლოგიკური დახვეწა: ხშირად
კამათი ირევა და მსჯელობაც უმართებულოა!
ეს ხშირია იქ—სადაც მოუხერხებელია ან სუს-
ტია თავისი თავის განსჯერება, სადაც თვალსაჩი-
ნოა ძველი მოხელური სული და ძველი რეჟიმისაგან
ნაადრეობივი სიბეცე!..

უხეირო ჩვეულება გვაქვს: ჩვენი ნაკლის მიზეზი
სხვაგან ვიძიოთ!

და ასე—მუდამ. რას წარმოვადგენთ თვით
ჩვენ? რა მონაწილეობას ვიღებთ ჩვენი ეროვნული
დაწმენდისა და კულტურული აღორძინების საქმეში?
ავიღოთ მაგალითი.

ხშირად ამა თუ იმ დაწესებულებაში მხოლოდ
ერთი პასუხისმგებელი პირია არა ქართველი და
იმდენად, რამდენადაც ის გავლენიანი და მკაცრი
ადმინისტრატორია, მოგთხოვს თუ არა, ჩვენ
მანც—მის ენაზე ვლაპარაკობთ, ვცდილობთ მის
ჰანგზე დავუკრათ!.. ეს მოვლენა სამარცხვინოა, მა-
ნებელი რომ არ იყოს!..

უფრო ცუდია, როდესაც ადმინისტრატო-
რიც ქართველია, მოხელეებიც ქართველი არიან და
საქმის წარმოება მაინც ქართულად არ სწარმოებს!
ვის არ ახსოვს მაგალითები, როდესაც არა
ერთხელ გაუმეორებიათ ბრძანება: რათა დაწესე-
ბულებაში მიწერ-მოწერა ქართულად სწარმოებდეს!..

ბიხლიზმისა

შენაშინავე წიგნი. გუშინ გამოქვეყნდა შე-
ნაშინავე წიგნი „ტფილისის უნივერსიტეტის მო-
ამბე“.

დიდი ტანის წიგნია, შეიცავს სულ 424 კაბა-
დონს და შესდგება 19 გამოკვლევა-წერილისაგან.
ზოგი ერთი მათგან საზოგადო ხასიათისაა და და-
წერილია უცხო ენაზე. მაგ. გამოკვლევანი ს. ვირ-
სალაძისა, გ. ჩუბინაშვილისა, ა. რაზმაძისა, სხვები
დაწერილია ქართულად და უაღრესი მნიშვნელობი-
სანი არიან.

„მოამბე“ ქართულ წერილთა შორის უპირ-
ველეს ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მიიპ-
ყობს ივანე ჯავახიშვილის ვრცელი მორქმით
დაწერილი გამოკვლევა „ახლად აღმოჩენილი უძვე-
ლესი ქართული ხელთაწერები და მათი მნიშვნე-
სი“.

სი ნესტან. ჯარის-კაცები ტარიელს ინდოელები,
ავთანდილს არაბები, ხოლო ფრიდონს ზღვის პირე-
ლები ჰყვანან. ფრიდონ ფიქრობს ციხის აღებას
მის ერთ ბურჯზე გრძელი საბლის წვერის გადა-
ღებით. ავთანდილ ვაჭრულად შეპარვით, ხოლო
ტარიელ საერთო იერიშის მიტანით. რა დასკვნისა
უქანასწავს აზრსა, სამწიფე ჯარისკაცთა თანახლე-
ბული გავლენ საიერიშო სიმღერისა.

მეორე სურათი წარმოადგენს ქაჯეთის ციხე-
ში ნესტანის ტურფად მორთულ ოთახსა. სარკე-
ლით მოსიანს ქალაქი და ციხის კოშკები, რაზედაც
მცველი დგანან. გაბადრული მივარე თავს დაჰკრ-
თის. ნესტან შავებში ჰზის და სტირის. ფერია, რო-
მელიც ნესტანს თან ახლავს, სწუხს, რომ ვერ უშ-
ველნია, ნესტან გაპარვის წინააღმდეგეც არის და
არჩევს სისხლის ციხეებდა ღერას და ფერიას გაი-
სტუმრებს. იმ დროს, როცა საყვარელს მოიგონებს
და სთხოვს, როცა მოვკდე იმ ჩემი შავნი როდე-
ნი საფლავში ჩამაყოლო, შემოდის ამალით ქაჯე-
თის დედოფალი დულარ, რომელსაც განუზრახავს
ნესტან ცოლად მისცეს თავის ძმისწულს როსანსა.
ნესტანი დიდ უარზე არის, თავი ამაყად უჭირავს
და აგრძნობინებს დულარს, შენი ტყვე არა ვარ,
გვირგვინი კი არა ცრემლი მაქვს მოსაღხენადო.

დულარ დაქადებული გავა ამალით. ნესტან
სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი რა მოგონებს
ტარიელს, დედოფალს დაემუქრება, შენი სიმკაცრე
ვერ შემაშინებს ვერც შენი მექარა მაქმევიანებს
დალატებს, დაიჩოქებს და ილოცავს. იმ დროს
ფატმანის ქაჯი შემოვა მოლ წამოსხმული, წერილს
გადასცემს ნესტანს, რომელიც დაკრთება, მაგ-
რამ წერილს მაინც ჩამოართმევს. ფატმან ახა-
რებს შენ და ტარიელ ერთმანეთის წადილს მიხე-
დეთ და შენ საძებრად მოსულა ავთანდილ მოყმე
არაბიო. ქაჯიც დაუდასტურებს, შენი მიძებელი
მოსულა მშენიერი და მკლავ მაგარიო. ნესტან
დარწმუნდება, რომ ის უნდა იყვის მისი ცეცხლთა
მადებარი და უბრძანებს ქაჯსა, წერილს მიუწერ
და შენი ჰქადეთ თუ, რა გულმდღურად ვიწყოვე-
ბიო, მცირე ხანს დაფიქრდება და ეტყვის, შეგიძ-
ლია თუ არა ამ ციხიდან ესაღვე გამაპარაო? ქაჯი
მოახსენებს, შენთვის თავს დასდევს, მაგრამ რო-
გორ მოვაგვარო, ყველგან დარაჯები დგანანო. ნე-
სტანს იმედი გადაუწყდება და შესივლებს, დე-
დოფალს უნდა ძალად ქმარი მომგვაროს, მაგრამ
უწინ გულს გავიპოზო. გაფთხებული ფერია შე-

მუშავე ელემენტთა რაოდენობიდან პირველი ადგი-
ლი ჩამოსულ დედაცაყებს უჭირავს. მამაცაყთა
შემდეგ წერილში ჩვენ მოვლავს ქართულ
ეროვნებათა შემადგენლობის შესახებ თეორიის.

ყველაზე ადრე, თუ არა ესცდები, ასეთი გან-
კარგულება არა ერთხელ გასცა სამხედრო კომისარ-
მა, აშხ. ჯიქიამ, მაგრამ მოუხდევად იმისა რომ მას
„ქართველ“ თანამშრომელთა რიცხვი საკმაოდ ყავდა
— აღნიშნული ბრძანება ცხოვრებაში მაინც ვერ
გაატარეს...

საქმე იმაშია, რომ ბევრი ქართველი მხოლოდ
გრძელ-გრძელი სიტყვებით და უადგილო პროტეს-
ტებით არის ქართველი... ხშირად წმინდა ქართულ
გვარსაც ვერ ინელებენ და ქართული ენის წაბილ-
წვაზე სხვას უტყუნიებენ...

საქმე საქმეზე რომ მიდგება ბევრ ასეთ ვაე-
ბატონს „ჩინოვნიკური სული“ ასტკივდება, რომ
იგი უნდა მოსცილდეს რუსულ „კანცელიარშიანს“!..
ასეთი ვაგბატონები (ვითომდა) სტირიან სა-
ხელმწიფო ენის, ქართული ენის შეურაცხყოფას!
... ახალგაზრდობამ, რომელთა რიცხვიც სა-
კმაოა დაწესებულებებში, უფროსი ამხანაგები უნდა
განკურნონ ასეთი სენისაგან... და ახალ მოღვაწე-
ებსაც მიაქციონ ყურადღება.

დღესაც ხშირი მოვლენაა ჩვენი ცხოვრებაში,
რომ ბატონი ჩილიაგები, ციციანოვები, ჩილაკაე-
ვები და ძმანი მათი ბავშვებს რუსულად ზღიან და
ქართული ენის გულშემატკივრობას კი იჩემებენ!
დროა—დავგმობთ სიმანხე და გამოვიმუშაოთ
სალი შეხედულება: ვიცნოთ ჩვენი თავი—რომ გა-
მოვასწოროთ ჩვენი ნაკლი და შეცდომები!...

სევ. ჰიჭინაძე.

ლობა მეცნიერებისათვის“ („მოამბე“ 319—391).
თავის ამ წინასწარ მოხსენებაში ნიშნუების და-
რთივით უძველეს ქართულ ხელნაწერიდან ავტორი
არა თუ ნათესა ჰყვანს თვით ამ ხელნაწერებს, არა-
მედ მათ ნათელით გააშუქებს საქართველოს იმ
ეპოქებს, რომელთაც დღევანდლამდე სიბნელის ზე-
წარი ეფარათ და რომელთაც სთვლიდნენ უკულ-
ტურო-უმწერლობო ხანად, რომელსაც ვითომ ემა-
დო მხოლოდ ქართული ანბანი და ისიც მოგონი-
ლი ვიღაც მესოფისიანს: ივანე გზა და გზა შეე-
ხება მრავალ უხეშ დასკვნებს საქართველოს წარსუ-
ლის შესახებ და არღვევს მათ თავის მკვეთრ ლო-
ლიკის და აუვარებელ ცოდნის შემწეობით. აქ, ასე
ვთქვათ, ივანეს ყოველი სიტყვა ცალკე აღმოჩენაა
საქართველოს საისტორიო, საპალეოგრაფიო და სა-

მოვარდება და მოახსენებს, ეს ეს არი ამ ქალაქს
ქაჯები შემოესივნენ და ციხის ფოლადის კარები
დალუწესო. მოსიშის ციხის იერიშის ზათქი და ზარი
ქაჯები შემოსივდებიან, ტარიელ ხმალამოწვდილი
უკან მისდევს. ქაჯები იარაღს დაჰყრიან და რა
დადგომიან, სთხოვენ წმინდას. ნესტან იცნობს
ტარიელს, რომელიც ხმალს გადაადგდებს. და მოე-
ხვევა. იმ დროს შემოდის ავთანდილ და ფრიდონ
თავიანთი ჯარებითა. ტარიელ გააცნობს ნესტანს
თავის მეგობრებს, როგორც ძმად შეფიცულებს.
ნესტან ორთავ მიიღებს როგორც სიცოცხლის მიმ-
ნიჭებლებს და არ იცის, მადლობა როგორ გადაუ-
ხადოს. მერმე ტარიელ ბრძანებს სისხლის ღვრა
შესწვდეს და დატყვევებული ქაჯები განთავისუფ-
ლდენ, დეე ჩემი შევბინი იშვებდეს ყოველი შეპირ-
ებულიო. დასასრულ აპოთოზად გაისმის ხმასა-
რავ შეწყობილი ვაშა გაუმარჯოს ნესტან ტარიე-
ლის და მათ მიერ დახსნილი ინდოეთის სადიდებ-
ლაო.

აი დრამისათვის, საჭირო მომენტები და გა-
რემოება მათი განვითარების აღებული. თინათინის
დაგვირგვინება, მისი და ავთანდილის მიჯნურობა,
ავრედე ავთანდილის მიერ ტარიელის ჰიენა გა-
მოქებალში შეიძლება სცენაზედ დაეწყო, მაგრამ,
ვიმეორებ, სცენები ავი დრამად ვერ გადაიქცევა,
ოქროპირ ბატონიშვილის შეცდომაჲ ის არის, რომ
თავის თავ გადასავალი ტარიელს მოთხოვნიან
მაშინ როცა დრამისთვის საჭირო იყო მისი განს-
ცენიერება. მე თავს ვერ მოვახვევ კომისიას ჩემს
გვემას, რომელიც ოპერისათვის მიმართა ერთად
ერთ საშუალებად მაყურებელს ინტერესი ალუძრას
და ერთი საღამო დაიჭიროს.

პეტრე მირიანაშვილი.

მინაწერი: მიზანსცენისათვის ზიჩის ნახატებს
ფრთხილად უნდა გამოყენება, რათავე სცენაზე
მაჰმადიანი ხალხი ინდოეთის (უმთავრესად), არა-
ბეთის (ავთანდილ არაბთ ჯარის კაცებით), ზღვათა
ქვეყნის (ფრიდონ თავის ჯარის კაცებით) და მე-
ლანშარისა (ფატმან), აგრედვე ფანტასტიური ქა-
ჯეთისა (დულარ დედოფალი) ამის მიხედვით ტა-
ნისამოსიუ შესაფერი უნდა ჰქონდეს მოქმედ პი-
რებისა.

ლინგვისტო დარგებში, და სრულიად მართალი იყო სერგო გორგაძე, როდესაც წყნად განაცხადებდა: „მოხსენებების მოსმენის შემდეგ რომ ნომრებზე სიტყვებით: „რა ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ დიდ ადამიანთან ხანაში“ მის პირობით თვით ქვემოთ ტყეში ლაღადღებდა მანამ“.

ამგვარივე ხასიათისაა დეკანის **კ. კეკელიძის** პატარა, მაგრამ მრავალ-მეტყველი გამოცემა „როდისაა გადაწერილი აღმოსავლეთის სახარება“. აქაც ახალი აღმოჩენაა: თურმე ქართველთა ისტორია წყნად აღ-რიცხვისა მიჰყვებოდა სამს გრას, ბერძნულს, ალექსანდრიულს და პანლორესას, და ამათ მიხედვით აღმოსავლეთის სახარება დაწერილი ყოფილა სწორად 897 წელს.

პროფეს. აკაკი **შანიძის** ორი წერილია დაბეჭდილი „მოამბეში“. ერთი „ნათესები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მხარეების ხმოვანების წინ ქართულ ზნეებში“ და მეორე „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“. ორივე წერილში ავტორი წმინდა ქართველურ მუყაითობით გააჩვენებს მის-მიერ აღძრულ კითხვებს და მეცნიერულ კვლევა-ძიებით მკითხველს თავაწინ დაუყენებს ახალ და ახალ აღმოჩენებს ქართულ საგარეო-საშინაო მცენიერებაში.

მიქცევის მკითხველის ყურადღებას აგრეთვე წერილი გიორგი **ჩუბინაშვილისა** „მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი“, რომელშიაც ავტორი ცდილობს გამოარკვეოს, ვინ ააგო ეს ტაძარი მე-7 საუკუნის დამდეგს.

გ. წერეთლის *Homeric* ერთი მშვენიერებაა-განია უნივერსიტეტის „მოამბისა“ (გვ. 139—147). მისი ეტრატზე ნაწერი ოდისეის ნაწყვტი აღმოჩნდა მეოთხე საუკუნის ძეგლი. დღევანდლამდე ყველაზე უფრო ძველ ნუსხებად ითვლებოდა ორი

ხელნაწერი ოდისეისა და ორივე ეკუთვნოდნენ მე-18 საუკუნეს. მაშასადამე, დასკვნის ავტორი, დაწერის დროის მიხედვით ჩვენს ნაწყვტს უკერავს პირველი ადგილი.

პ. მელიქიშვილის წერილი „ჩვენებური ყველი“ სავესა დიდ საყურადღებო ცნობებით შესავსებია, თუ როგორ კეთდება შვეიცარიული ყველი საზოგადო და ჩვენებური ყველები განსაკუთრებით, ყველების ანალიზები გვიჩვენებენ, რომ შვეიცარიულ ყველში 32,63 პროც. წყალია, 35, 9 პროც. ცხიმი, თუშური („ალანის თავი“) 32,64 პროც. წყალი, 32,75 პროც. ცხიმი (ცხილი 1).

მეორე ცხილის ჩვენებით: ნამდვილი შვეიცარიული ემენტალისა: წყალი 34,38, ცხიმი 29,75; საქართველოში 1882 წელს დამზადებულ შვეიცარიულში: წყალი 32,74, ცხიმი 32,26, 1920 წელს დამზადებულში წყალი 32,64 და ცხიმი 35,9.

საამდროვანო **გ. ნათაძის** ცრცელი წერილი „რამოდენიმე მომენტი საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი საგლეხო კანონმდებლობისა“.

დიდის ხალხით იკითხება მეცნიერული გამოკვლევანი პროფესორებისა **გ. ლამბარაშვილის**, თ. ბებურიშვილის, **გ. ახვლედიანის**, **ა. თვალჭერის**, **ა. ხარაძის**, **დ. უზნაძის** და **ივ. ჯავახიშვილის** მეორე გამოკვლევა სათაურით „გლეხთა პარტიის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“.

დასასრულ ვიტყვით, რომ „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თვალსაჩინო ძეგლია და შეიძლება ვუწოდოთ შვიდნობის იგი ყოველმა ქართველმა და გულდასმით შეისწავლოს.

მ. ჯანაშვილი.

საგოგნო კვანის მოღვაწეები

თეოფილე იესეს-ძე ხუსკივაძე

თეოფილე იესეს-ძე ხუსკივაძე დაიბადა 1860 წ. შორაპნის მაზრის სოფელ კვალითი, მამა მისი იყო იმავე სოფლის მფლობელი, იესე ნიკოლოზის ძე და დედა მართა სიმონის ასული.

პირველ დაწყებით სწავლა მიიღო მამის ოჯახში, მერე სწავლობდა დავით ლამაზიძისაგან დაარსებულ საღმრთო სკოლაში, ამის მერე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ისტორიკოსი, მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილის მასწავლებლობის დროს, მისივე გავლენის ქვეშ.

შემდეგ იქაური სწავლის დამთავრების, თეოფილე სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც მან სწავლა დაამთავრა 1881 წელს, მის შემდეგ სამსახურში შევიდა, მსახურობდა პედაგოგიურ ასპარეზზე 15 წლის განმავლობაში, ასრულებდა თანამდებობას, მასწავლებლობის ასპარეზზე მან გამოიჩინა კარგი ღირსება, თავის მუშაობაში დიდი სიყვარული და პატივისცემა, იგი ისე ოსტატურად და ჩინებულად მოქმედებდა, რის გამოც მას მოწაფეების წინაშეყვალას საყვარელი მასწავლებელი იყო.

ბოლო დროს მასწავლებლობას თავი დაანება, მის მაგიერ შევიდა სამოქალაქო სამსახურში. მსახურობდა მაზრის სამართლებრივ, შემდეგ ეს სამსახური მან შეცვალა, მერე მსახურობდა აფხაზეთში, იქ იყო ოჩენიშის ნატარქუსის სამმართველოში. დღის იგი სცხოვრობს ქალაქ ქუთაისში და აწარმოებს ნატარქუსის გამგეობას.

ქართული მწერლობა დაიწყო 1860 წელს. 1884 წელს დასახლა, მეუღლე ამის გახლდათ ანაპო მამუკას ასული, ჰყავს ხუთი შვილი, უნივერსიტეტ დამთავრებული.

თეოფილე ხუსკივაძე, ჩვენი მწერლობის ასპარეზზე ისეთი მოვლენა გახლავს, რის გამოც არ შეიძლება რომ მისი მოღვაწეობის მოგონებას არ დაუკავშიროთ მთელი იმერეთის ერის წარსული და მათი სამწერლო ისტორიის ცნობებიც.

1860 წელს, ქართულ მწერლობაში, იმერლებმა უკვე აკადრით ირისეს თავი, იმ დროიდან „ცისკრის“ არც ერთი წიგნი არ გამოსულა ისე, რომ შიგ იმერთა ნაწერების სამი და ოთხი წერილი არ ყოფილიყო მოთავსებული. 1863 წ. იმერლებმა უკვე აშკარათ იწყეს მწერლობა „საქართველოს მოამბეში“ სამი წლის განმავლობაში იმერლები ისე დაწინაურდნენ ქართულ მწერლობაში რომ 1866 წ. მარტის 1 რიცხვიდან რაკი თბილისში პირველი ქართული გაზეთის „დროების“ გამოცემა დაიწყო, ამ გაზეთის რედაქტორად გახლდათ **გ. წერეთელი** და გაზეთის თანამშრომლებიც სულ იმერლები იყვნენ.

იმ დროს, იმერეთ შორის მწერლებმა გაჩნდნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, მოსე ქიქოძე, ნიკო ნიკოლაძე, მამია გურიელი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით მიქელაძე და ბევრნიც სხვანი, ერთი სიტყვით, იმერეთის ერი თამამად გამოჩნდა ქართული მწერლობის ასპარეზზე.

ამათსავე ნიადაგს მოჰყვა **დ. კლდიაშვილი** და თეოფილე ხუსკივაძე. თ. ხუსკივაძის საგანი იყო ჩვენი ცხოვრების წარსული და აწმყოს შესახებ ისტორიული მოთხრობების წერა და ბეჭდვა, იმერთაგან ისტორიული მოთხრობების წერის ასპარეზზე ეს პირველი მაგალითი იყო, ამიტომ უნდა ითქვას, რომ იგი თავის მოთხრობებით ყველაგან და ყოველთვის მკითხველებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. მკითხველს თავისუფლების იდეით აღვიბდა.

ასეთის მოქმედებით თ. ხუსკივაძე ჩვენში არ შეიძლება თავის ნაწერებით უმნიშვნელო მოვლენათ დამოყოს.

იმერეთის ხალხში ასე თუ ისე, ქართულ მოთხრობების მრეწველობით თავი ისახელეს **დ. კლდიაშვილმა** და თ. ხუსკივაძემ, იმაზე წინეთ გიორგი წერეთელმა სცადა, მაგრამ იგი ასეთი არ გახლდათ როგორც კლდიაშვილისა და ხუსკივაძის ქართული ნაწერები, ამ მხრით იმერეთის ერში თ. ხუსკივაძის ნაწერები პირველი მაგალითია ჩვენის მწერლობის ისტორიის წინაშე.

ამიტომაც უთმობთ მას შესაძენე ადგილს ვინაიდან დღესაც არავინ არის ამის მსგავსი იმერეთ შორის.

ამას ასე ვუსხავთ მით უფრო, რადგანაც იმერეთის ერს, არა აქვს მდიდარი ქართული მწერლობის წარსული, ეს ნურავის ეწყინება და ჩვენ სიტყვიერების ისტორიის მასალებით ვიტყვით შემდეგ რაც არ არის შესაფერის ღირებას მოკლებული.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს წარსულში მთელს იმერეთში ერთი ქართული წიგნიც არ დაწერილა, ეს არის სწორე და მართალი ცნობა, მთელს იმ გრძელ ხანაში, ერთი იმერელი მწერალიც არ ყოფილა, ხანდახან კი ყოფილან თითო-ორიოდა ისეთი კაცი, რომელთაც უწერიათ ცირკულარი რამ.

მაგრამ იმათაც ისე მცირედ უწერიათ, რის გამოც მათს ნაწერებს არაფერი ღირსება ჰქონიათ, ჩვენი სიტყვიერების ისტორიაში მათ ადგილი ვერ დაუთავებიათ, თუნდ უბრალოს მოხსენებით.

ქართული მწერლობა ყოველთვის მესხეთსა და ქართლში ბრწყინებდა, მთელი ჩვენი მწერლობის საუფჯე, მთელი ჩვენი მწერლობის შექმენი ვარსკვლავი სულ მესხები და ქართლები არიან, იმერეთში კი ერთი წიგნიც არ დაწერილა არას დროს, თვით მოსე ხონელი, რომელმაც დასწერა „ამირან დარეჯანიანი“ რომელ მოსეც ჩვენ ქალაქ ხონელი გვეგონა, ამ ბოლო დროს, ესეც აღმოჩნდა, რომ მოსე ხონელი ყოფილა ართვინის თემის სოფელი ხონიდან, რომელ სოფელ ხონი დღესაც არსებობს.

ასე და ამგვარათ, მთელ ჩვენ კულტურულ წარსულში, იმერეთის ხალხი, ქართულს მწერლობაში უკან ჩამორჩენილი იყო, რომ კარგათ ეძებოთ ქართულს ძველს მწერლობაში, თქვენ ერთ მწერალსა და წიგნს ვერ იპოვით იმერთაგან ნაწერებს.

არის ორიოდე ასეთი ცნობა: ორი პატარა მწერალი გურიაში სჩანს XVII საუკუნის ნახევარს, ერთი სასულიერო პირი იმავე საუკუნეში აფხაზეთში, ორი მწერალი კაცი, სამეგრელოშიაც ორი მწერალი, ორიც იმერეთში ისიც XVIII საუკუნეში, სამიც სასულიერო პირიც, ესეც მხოლოდ XVIII საუკუნის ნახევარს და ყველა ამავებთან ერთათ ხსენებულს საუკუნეში ერთათ ერთი მხოლოდ ბესიკი სჩანს, ისიც ქართლიდან გადასული იმერეთში. XVIII საუკ. ნახევარს.

დრო შეიცვალა იმერეთ შორის გამეფდა სწავლა, ძველი იმერული ხანა გაფრინდა დადგა XIX საუკუნე, ამ დროს, იმერეთ შორის, მოჰყვა დიდი ცვლილება, დიდი წარმატება, იმერეთის ერის გონებითი დაწინაურება და ამალეების ტრფილების ნამეტურ ქართულ მწერლობაში. იმერეთ შვილებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული ნიჭი ქართული მწერლობის აღორძინების საქმეში. მათ თვალსაჩინო გაუსწრეს ტეტეებს და იგინი გახდნენ მთელი მწერლობის პატრონები XIX საუკუნეში.

იმერეთ შვილებს ქართულ მწერლობაში, ბევრი გვირავი შეედრება, მათ დიდი უნარი აქვთ ერთი ნაკლი, რაც არ შეიძლება, რომ იგი არ მოეხსენიოთ აქ, ეს მათი ნაკლი არის იმერლების კოსმოპოლიტობა, რაშიაც ისინი მძლავრათ არიან ჩაცვინული, ეს არის მხოლოდ მათი ნაკლი თუმცა

ბევრს ალბავს, ნამეტუმ მწერლობაში, არც ამაში არიან გასამტყუნარი, ვინაიდან ქართველი ერი და მწერლობაც მე-XIX საუკუნის დამდეგიდან რუსის მონარქიულ კოსმოპოლიტობამ მძლავრათ ჩაყლაპა ქართველი ერი.

მადლობა ღმერთს, რომ ასეთ ნაკლს იმერეთის ხალხი პუბლიცისტკას მისდევდა და არა ბელეტრისტკას. ასეთი მიდრეკა თვით იმერთ პოეზიასაც კი შეეშინა და აქაც მოიკიდა ფეხი იმერელი კოსმოპოლიტობამ.

ვიტყვით თამამათ, რომ თეოფილე ხუსკივაძე, ასეთი მორევში ჩათრევისაგან ყოველთვის შორს იდგა მისი მცნება და შრომა გახლდათ იმერეთის ერის გავიქრება, იმერთა ძეთა გონებით ამაღლება, როგორც კულტურულათ, ისევე თავის თავის ცნობის სიყვარულით და მისი მნიშვნელობის შეგნებით და სხვაც ბევრი ასეთებით.

თეოფილე ხუსკივაძემ თავის შრომით და მწერლობით ჩვენი ერის წინაშე, მან ცხადათ აღბეჭდა თავისი ორგანიზაციის ხალხის წავალი, ქართველთა გადაგარებულ გულსა და სულში მან ფართოდ დაიკავა ადგილი, დღეს იმერთა ძეთა გულში, ფართო ადგილი აქვს დატოვებული ამის იდეურ მწერლობას, სამშობლო ქვეყნისადმი ღრმად ტრფივად და სიყვარულში, მკითხველს, ჩვენი საუბარი ლიტონ სიტყვით არ დაუჩრჩეს, ამიტომ აქ მოვსთვლით თვით თეოფილე ხუსკივაძის ნაწერებს, რაც დაბეჭდილებია და გაფანტულებია მთელს საქართველოში ნამეტუმ იმერეთში.

„ეკატერინე ბატონიშვილი“, ისტორიული მოთხრობა, ეს ეკატერინე იყო თავიდან ჩიჩუხის ასული, დღეს ეს წიგნი იშვიათი საშენიგელია.

„იმერეთის მეფე სოლომონ მეორე“.

„გურიის მთავარი მამია V“.

„ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში“.

უნდა ითქვას, რომ ყველა ეს წერილები არის საუცხოო შინაარსიანი წერილები წერა, თეოფილე ხუსკივაძემ შესწავლია მხოლოდ მაშინ, როცა მას პედაგოგიურმა სამსახურმა თავში ჩაუკაქუნა, მანარქიული რეჟიმის წყალობით სამსახურს თავი გაანება, სხვა სამსახურში გადავიდა.

1919 წ. 22 დეკემბერს, მაგრამ მაინც სულით არ დაეცა, სამშობლო ქვეყნის სიყვარულმა მის კერძო შინაურ უბედურებას დასძლია, თეოფილე ხუსკივაძემ ისევე მშობლიურ სიყვარულის სამსახურს გაჰყვა

1921 წ. დასწერა მოთხრობა „ენახე და ვინა“ (დაბეჭდა ქუთაისს).

ქუთაისის მოქალაქეები და განკარგულებანი

ციკაშულიარი

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარედ

შინაგან საქ. სახ. კომისარიატის მიერ რამოდენიმეჯერ გაგზავნილი იყო თანახმად საქართველოს უმაღლესი მთავრობის ცირკულარული წერილისა განმარტებანი იმის შესახებ, თუ რა ენახე უნდა წარმოედგინა მიმწერა საქ. რეს. ორგანოებთან და რა გარემოება უნდა იქმნას მიღებული მხედველობაში თანამშრომლის საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშნვის დროს. კომისარიატის ცირკულარებში ხსავსამით იყო აღნიშნული, რომ თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშნვის დროს, მხედველობაში ყოფილიყო მიღებული სახელმწიფო, ქართული ენის ცოდნა (ცირ. ყველა საქ. და სამაზ. აღმასკ. „მოამბე“ № 13; ცირკ. ყვ. საქ. სამ. და ავტ. ერთ. აღმასკ. 20 მაისი 1922 წ. „მოამბე“ № 35 და სხვ.) მაგრამ, როგორც კომისარიატში მიღებული მომართებებიდან და მიმოწერებიდან სჩანს, დანიშნა თანამშრომლები, ხდება ზოგან სრულიად იმის და მოუხედავად იცის თუ არა უკანასკნელმა სახელმწიფო ენა, რის გამოც მიმოწერა და საქმის წარმოება წარმოებს ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაუგებარ ენაზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი აღმასკომი ოქმს, მოხსენებას ან მომართვას სრულიად უმიზეზოდ გზავნის არა სახელმწიფო ენაზე, რაც

იმავე წელს დასწერა მოთხრობა: „ასულ მე და შენ“ ესკიზი. დაბეჭდა ქუთაისის ალბომში 1922 წ. „ყანაში“ ქუთაისი. დღეს. 1922 წ. **ზ. კ. მოღვაწეობა „უნივერსალი“** ქართული მწერლობაში მოღვაწეობის განაღდა ქუთაისის ეკატერინე გიანაგბედა ერთგულად და თვალსაჩინო.

დასწერა ქართულ თეატრის ისტორია. სთარგმნა ვიქტორ პიუგოს „ერნარი“ დასწერა პიესები: „დიდი როსტომ ერისთავი“. ეს პიესა ქუთაისის სცენაზე ბევრჯერ დასდგეს. ყვირილაში ამ პირს დიდი წამსახური მიუძღვის როგორც იმერეთის საქმეში, ისევე სხვაც ბევრ ასეთ კულტურულ საქმეებშიაც. ხოლო მათ ანუხება აქ გაბეჭდილება, ამიტომ ვტოვებ მას აუნუსხებათ.

შემდეგში თეოფილე ხუსკივაძე გადასახლდა აფხაზეთში და ოჩენიშის დასახლდა, სადაც იგი აწარმოებდა ნატარქუსის გამგეობას.

მართალია პარტიკულური მოღვაწე სხვა სამსახურში ჩაება, მაგრამ მას არც იქ დაუტოვებია თავისი უმწიკლო სამსახური.

იქაც ამ კაცმა საქმეთ გაიხადა ქართული სკოლა, ქართული თეატრით, და ქართული წიგნების გავრცელება აფხაზეთში. ქართულის მწერლობით იგი ავრცელებდა აფხაზეთში საქართველოს, სიყვარულის აღორძინებას, როგორც სამურზაყანოში, ისე მთელს აფხაზეთში.

ოჩენიშის იყოფი დროს, მან გახსნა, ქართ. შორის. წერაკითხვის საზ. ქართული სამკითხველო და მის მერე ქართული სახალხო ბანკი.

ჩვენს პირადი გავაგებლებით, აქ, მოთვლის ცნობით სჩანს, რომ თეოფილე ხუსკივაძეს იმერეთის ხალხის ცხოვრებაში, არ ყოფილა არც ერთი საგანი მათი ცხოვრების, რომ იქ ამ სახელოვან მოღვაწეს თავისი შრომა და კეთილი სამსახური არ მიეკნოს.

სულ მომ არა, დასასრულს ერთ გარემოებას მაინც დავასახელებთ რომ, თეოფილე ხუსკივაძემ თავის მასწავლებლობის დროს იმერ ძეთა მოწაფეებს გულში ჭაღრესად უღვიძებდა და აყვარებდა მათ მამულიშვილურ მიმართულებას და ქართულ მწერლობის ღრმა სიყვარულს, დღესაც.

ჩვენ არ მოვიხსენიებ აქ ყველა ის ნაწერები, რაც ამ 40 წ. განმავლობაში თეოფილე ხუსკივაძეს უწერია. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთი მისი თვალთ საჩინო ნაშრომს.

ზ. კ.

განსაკუთრებით დაუშვებლად უნდა იქმნეს მიჩნეული.

აღნიშნულის გამო კვლავ წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1) თანახმად ს. ს. ს. კონსტიტუციისა (მუხ. 6) საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა.

2) საქმის წარმოება და მიმოწერა საქართველოს რესპუბლიკაში გარდა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებისა და ს.ოსეთის ავტონომიური ოლქისა, უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე.

3. ისეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობის დიდ უმეტესობას შეადგენენ არა ქართველნი, მიმოწერა უნდა სწარმოებდეს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

4. ამ დადგენილების დამრღვეველნი პასუხის-გებაში იქმნებიან მიცემულნი.

5) ამ ცირკულიარის ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასკომის თავმჯდომარეს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

ა. გვამყარი.

საინს. საინფ. განყოფილების გამგე

გ. ანდრიაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის რეინის გზებზე მიმოსვლის ნუსხა

სფილისიდან გაღის

მატ. № 1	სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600
მატ. № 1	სწრაფი პეტროგრ. პარასკევბ.	
მატ. № 1	სამშაბათ.	
მატ. № 2	ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3	როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3	კახეთში	7.15
მატ. № 4	ბათუმში	8.05
მატ. № 8	ბათუმში	20.40
მატ. № 20	ბორჯომში	15.20
მატ. № 21	ბაქოში	11.25
მატ. № 22	ბათუმში	0.20
მატ. № 3	ერევანში კენტი რიცხვი	18.00
მატ. № 35	კახეთში	10.35
მატ. № 31	ჯულფაში წყვილ რიცხვი	23.00

ს ა ა გ ა რ ა კ ი

მატ. № 18	ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16	ხაშური შაბათობით და უქმის წინაღლით	1.55

სფილისში მოღის

მატ. № 1	ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 2	მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 2	პეტროგრადიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2	პეტროგრადიდან პარასკევბ.	
მატ. № 3	ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4	როსტოვიდან	6.35
მატ. № 4	კახეთიდან	21.50
მატ. № 7	ბათუმიდან	8.50
მატ. № 19	ბორჯომიდან	8.00
მატ. № 21	ბათუმიდან	4.20
მატ. № 22	ბაქოიდან	14.50
მატ. № 4	ერევნიდან წყვილ რიცხვი	10.20
მატ. № 3	კახეთიდან	18.45
მატ. № 34	ჯულფიდან კენტ რიცხვი	18.15

მატ. № 17	ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15	ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინაღლით.	5.10